**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი**

**,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი"**


სენაკი, რუსთაველის 237 | მობ: 577451110; 0413 27 54 41. ს/კ. 239892452

axalgazrdobisadakulturiscentri@gmail.com | vip.natia1976 @gmail.com


№14 18 მარტი 2026 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის მერს

ბ-ნ ვახტანგ გადელიას

ბატონო ვახტანგ,

გეგზავნებათ ანგარიში ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი"-ს (ს/კ 239892452, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, კოდით 050201) მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

დანართი 32 (ოცდათორმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი"-ს დირექტორი: ნ. ეჯიბია

# ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი"

## 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

შინაარსი


1. გაწეული მომსახურება და შედეგები;
2. სკოლისგარეშე შემოქმედებითი და საგანმანათლებლო მომსახურება: ბიბლიოთეკები, მუზეუმები, კულტურის სახლი, სოფლის კლუბები, სახვითი ხელოვნების გალერეა.
3. ღონისძიებები და პროექტები;
4. ფინანსური ანგარიში.


### 1. გაწეული მომსახურება და შედეგები

წლის განმავლობაში მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი კოორდინაციაში იყო მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებთან, რომელიც თანამედროვე პრაქტიკის გათვალისწინებით, ახალგაზრდებს თავისუფალ და არაფორმალურ გარემოში, მრავალფეროვან და შემოქმედებით სერვისებს სთავაზობს. ცენტრი მუდმივად კოორდინაციას უწევს მასში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებს, რომელიც მოიცავს: 16 ბიბლიოთეკას, მათ შორის 1 ცენტრალური, 15 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი ბიბლიოთეკა, ჟიული შარტავას სახელობის მუზეუმი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, თეოფანე დავითაიას სახელობის მუზეუმი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის მუზეუმი, კულტურის სახლი, 2 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი კლუბი, სახვითი ხელოვნების გალერეა.

**ცენტრში ფუნქციონირებს შემდეგი სექციები:**

1. მხატვრული კითხვის სექცია - 6 (უფასო);
2. ეკოლოგიისა და ეკოტურიზმის სექცია - 5 (უფასო);
3. საესტრადო საკრავების ინსტრუმენტთა სწავლების სექცია - 8;

4. სპორტული ცეკვების სწავლების სექცია - 13 (ფასიანი);
5. ქართული ხალხური ცეკვების სწავლების სექცია:

   პედაგოგი - თ. გუგუნავა -35 (ფასიანი)

   პედაგოგი - გ. კორშია - 191 (ფასიანი)
6. საესტრადო სიმღერების სწავლების სექცია - 25;
7. საესტრადო მუსიკალური ბენდი ,,აკუსტიკა'' – 6 (უფასო);
8. საბავშვო თეატრალური სკოლა-სტუდია - 18 (ფასიანი);
9. ახალგაზრდული თეატრი ,, ფიროსმანი'' - 8;
10. ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,კოლხი''- 24 (უფასო);
11. მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ქართული ხალხური ცეკვების მუნიციპალური ანსამბლი - 16;
12. ტურიზმის განვითარების სექცია - 17 (უფასო);
13. წიგნის მოყვარულთა სექცია - 5 (უფასო);

ჩარიცხულ მოსწავლეთა საერთო რაოდენობაა 377 მოსწავლე.

ჩარიცხული მოსწავლეებიდან, ადგილობრივი ბიუჯეტის მოთხოვნის შესაბამისად, (შეღავათების პროგრამა) გადასახადიდან განთავისუფლებულია 37 სოციალურად დაუცველი მოსწავლე, სწავლის საფასური გაუნახევრდა 10 დევნილს, ოჯახიდან ორი ან მეტი მოსწავლის შემთხვევაში გადასახადი ნახევრდება, რომლითაც მიმდინარე წელს ისარგებლა 55 მოსწავლემ. ცენტრში ირიცხება 1 შშმ მოსწავლე.

სოციალური დასაქმების სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 29 ბენეფიციარს.

## ანსამბლები და მათი მიღწევები

მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრში ფუნქიონირებს 3 ანსამბლი:
1. ,,კოლხური ტრიო'';
2. ფოლკლორული ანსამბლი ,,ეგრისი'';
3. მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ქართული ხალხური ცეკვების მუნიციპალური ანსამბლი.

ანსამბლმა ,,კოლხურმა ტრიომ'' წლის მანძილზე მუნიციპალიტეტში დაგეგმილ არაერთ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. მნიშვნელოვანია მათი მონაწილეობა ტრადიციული მუსიკის მესამე ფესტივალზე ,,ნანინა - 2025''.

ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა ,,კოლხმა'' მონაწილეობა მიიღო არაერთ ფესტივალსა და ღონისძიებაზე. აღსანიშნავია ანსამბლის მონაწილეობა ხობის მუნიციპალიტეტში გამართულ კლასიკური გიტარის, ფოლკლორული ანსამბლებისა და ქართული ხალხური ცეკვების კონკურს-ფესტივალ ,,ჰარიდაში''. ანსამბლს ზემოთხსენებულ ფესტივალზე მიენიჭა პირველი ხარისხის პრემია და ლაურეატის წოდება.

## 2. საგანმანათლებლო/შემეცნებითი მომსახურება

### 2.1 ბიბლიოთეკები

მოგახსენებთ, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის შემადგენლობაში შედის ბიბლიოთეკები, რომლებიც დაკომპლექტებულია შესაბამისი განათლების მქონე კადრებით. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი პირველ რიგში იმისთვის იქმნება, რომ ემსახუროს წიგნიერებას და წიგნის პოპულარიზაციას. ახორციელებს სკოლისგარეშე საგანმანათლებლო პროგრამებსა და პროექტებს.

დღეისათვის ბიბლიოთეკის სტრუქტურულ ერთეულს შეადგენს აბონემენტი, საბავშვო ფონდი, საცნობარო ბიბლიოგრაფიული, კულტურული პროგრამების სექტორი და დამუშავება-დაკომპლექტების სექტორი. მათ გააჩნიათ მუშაობისა და ღონისძიებების ჩატარების წლიური სამუშაო გეგმა, რომელთა შესრულებას აკონტროლებს ადმინისტრაცია.

საჯარო ბიბლიოთეკის ორგანიზებით ჩატარდა 25 თემატური ღონისძიება, 31 გამოფენა და ყოველწლიური საბიბლიოთეკო კვირეული. კვირეულის ფარგლებში თითოეული ბიბლიოთეკარი დასაჩუქრდა სასაჩუქრე ვაუჩერებით.

ცენტრის დაფინანსებით ბიბლიოთეკარებმა გაიარეს ტრენინგ-კურსები, რომელიც ჩაატარა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ, ასევე ზუგდიდის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრმა საჯარო ბიბლიოთეკარებისთვის ჩაატარა ორდღიანი ტრენინგი.

ცენტრში შემავალი ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი მუდმივად იზრდება. მიმდინარე წელს შეძენილ იქნა 5500 ლარის წიგნი და 6000 ლარის ჟურნალ-გაზეთები.

2025 წლისთვის წიგნადი ფონდი შეადგენს 158828 წიგნს, აქედან საჯარო ბიბლიოთეკაში განთავსებულია 41751 წიგნი, მათ შორის საბავშვო ბიბლიოთეკის ფონდში ირიცხება 12121 .

ადმინისტრაციულ ერთეულებში განთავსებული ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი შეადგენს 104956 წიგნს.

2025 წელს ბიბლიოთეკა მოემსახურა 1648 მკითხველს, მათ შორის 722 აბონემენტი, ხოლო 926 სამკითხველო დარბაზში. მათზე წლის განმავლობაში გაიცა 25324 წიგნი, ჟურნალი და ბროშურა. ბიბლიოთეკაში სრული დასწრება იყო 17 378.

## 2.2 მუზეუმები

როგორც მოგეხსენებათ მუზეუმი შესწავლის, განათლების მიზნით ან ვიზუალური სიამოვნებისთვის იძენს, ინახავს, იკვლევს და გამოჰფენს ადამიანთა შემოქმედებისა და მათი გარემოს აღმწერ ფაქტებზე არსებულ მნიშვნელოვან მასალას. სწორედ ამ დანიშნულებას ასრულებს ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებული ჟიული შარტავას სახელობის მუზეუმი და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, თეოფანე დავითაიას სახელობის მუზეუმი და არნოლდ ჩიქობავას სახელობის მუზეუმი.

მიმდინარე წელს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ეწვია 870 დამთვალიერებელი, ჩატარდა 7 ღონისძიება. მუზეუმს შემოწირულობის სახით გადაეცა 46 ნივთი. ამ დროისთვის მუზეუმის ფონდში ირიცხება 6839 ნივთი.

ჟიული შარტავას სახელობის მუზეუმს ესტუმრა 870 (როგორც ვიზიტორი, საექსკურსიო და ინდივიდუალური) დამთვალიერებელი. ჩატარდა 3 მნიშვნელოვანი ღონისძიება და 2 გამოფენა. მათ შორის აღსანიშნავია ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას დაბადებიდან 81 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჟიული შარტავას სახელობის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი.

არნოლდ ჩიქობავას სახელობის სახლ-მუზეუმის ფონდის ექსპონანტების რაოდენობა 2025 წლის მონაცემებით შეადგენს 321 ნივთს, ხოლო საექსკურსიო და ინდივიდუალურ დამთვალიერებელთა რიცხვმა შეადგინა 505.

თეოფანე დავიათაიას სახელობის სახლ-მუზეუმში დაცულია 662 ექსპონატი, ხოლო საექსკურსიო და ინდივიდუალურ დამთვალიერებელთა რიცხვმა მიმდინარე წელს შეადგინა 115.

მოგეხსენებათ, რომ მაისის თვეში აღინიშნება მუზეუმების საერთაშორისო დღე. ამ დღესთან დაკავშირებით თითოეულ თანამშრომელს გადაეცა სიმბოლური ფასიანი სასაჩუქრე ვაუჩერი.

## 2.3 სახვითი ხელოვნების გალერეა

სახვითი ხელოვნების გალერეა ემსახურება სხვადასხვა თაობის მხატვრების შემოქმედების საზოგადოებისათვის გაცნობას, სადაც დამთვალიერებლებს შეუძლიათ მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია წარმოდგენილი ნამუშევრებისა და მათი ავტორების შესახებ.

სახვითი ხელოვნების გალერეაში ჩატარდა 7 გამოფენა და საერთო ჯამში დამთვალიერებელთა რაოდენობამ შეადგინა 1385. ფონდში ინახება 319 ექსპონატი.

## 3. ღონისძიებები და პროექტები

ცენტრში ყოველწლიურად ახალგაზრდები სხვადასხვა ფორმით და მეთოდით, სკოლისგარეშე და დამატებით განათლებას იღებს. მასში არსებული საგანმანათლებლო სერვისები მრავალფეროვანია და კონკრეტულ მიზნებს ეფუძნება.

მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის სექციები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, გალერეა, კლუბები, ფესტივალები და სხვა აქტივობები მოზარდებში ზრდის სამოქალაქო თვითშეგნებას, ხელს უწყობს თავისუფალი, შემოქმედებითი თუ სხვა უნარების განვითარებას, თვითრეალიზაციასა და სამომავლო პროფესიების შერჩევას.

კულტურის ცენტრი, როგორც ახალგაზრდებისათვის მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი, მიზნად ისახავს ახალ თაობას ღირსეული პარტნიორობა გაუწიოს და ამით ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს.

2025 წელს ჩატარდა არაერთი ღონისძიება და აქტივობა. მათ შორისაა მასშტაბური ღონისძიებები. კერძოდ: შემოქმედებითი ანსამბლების მონაწილეობით კონცერტი ,,გაზაფხული შემოსულა ლენ'', საახალწლო ღონისძიება. ცენტრის თეატრალური სტუდიისა და

ახალგაზრდული თეატრი ,,ფიროსმანის“ მონაწილეობით გაიმართა არაერთი სპექტაკლი, მათ შორის პრემიერა ,,ხანუმა“, მიუზიკლი ,,ჩხიკვთა ქორწილი“. მუზეუმების საერთაშორისო და ეროვნული სამოსის დღისადმი მიძღვილი ღონისძიება, საერთო სახალხო დღესასწაული ,,ეგრისობა'', ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას დაბადებიდან 81 წლის იუბილეს აღნიშვნა. სახვითი ხელოვნების გალერეაში სახალხო არტისტის, დიმიტრი ჯაიანის დაბადების 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა, მოეწყო გამოფენა. ცენტრის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა ,,კოლხმა“ წლის მანძილზე მრავალ ფესტივალსა და კონკურსში მიიღო მონაწილეობა როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. მუნიციპალურმა ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო არხავის 51-ე საერთაშორისო კულტურისა და ხელოვნების ფესტივალზე, რომელიც ყოველწლიურად აღინიშნება. მთელი წლის მანძილზე ტურისტული კლუბი ,,მწვანე მოლაშქრეებისა'' და ეკოკლუბის ,,მწვანე ერთობის'' მიერ ჩატარდა არაერთი ღონისძიება და გასვლითი, შემეცნებითი ტური.

მოსწავლე-ახალგზრდობისა და კულტურის ცენტრში რეგისტრირებული მოსწავლეები, მოტივაციის ამაღლებისა და პოპულარიზაციის მიზნით, სასწავლო წლის ბოლოს, დაჯილდოვებულ იქნა სერთიფიკატებითა და სიგელებით.

აღსანიშნავია, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით, შექმნილმა მუნიციპალურმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა, რომლის მთავარი ქორეოგრაფი გახლავთ გიორგი კორშია, გამართა სოლო კონცერტი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ანსამბლ ,,ოდოიასთან“ ერთად და მაყურებლის წინაშე წარდგა მრავალფეროვანი ქართული ხალხური ცეკვის პროგრამით.

2025 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ღონისძიებების საერთო რაოდენობამ შეადგინა 85.

**იხ. დანართი: 1 ღონისძიებების ჩამონათვალი**

**ვიდეო და ფოტო მასალა განთავსებულია სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ,,Facebook'' გვერდზე.**

**ჩატარებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები**

მუნიციპალიტეტის მერიის თანადგომით, სახვითი ხელოვნების გალერეის შენობა სრულიად აღიჭურვა გათბობა-გაგრილების სისტემით. მთავარ საგამოფენო დარბაზში, იზოლაციის მიზნით, გაკეთდა ტიხარი.

## 4. ფინანსური ანგარიში

**იხ. დანართი: 2**

*დანართი #2*

**ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის“**

**2025 წლის 12 თვეში გაწეული ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიში**

2025 წლის 12 თვის ჯამური გეგმა შეადგენდა 1 281 310.0 ლარს, ფაქტიურად ჯამურმა ხარჯმა შეადგინა 1 272 542.94 ლარი.

ხარჯი სუბსიდიის ნაწილში გეგმით შეადგენდა 1 240 730.0 ლარს, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 1 231 963.0 ლარი.

შრომის ანაზღაურება სუბსიდიის ნაწილში გეგმით იყო 874165.0 ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 873979.31 ლარი.

მივლინების ხარჯი ქვეყნის შიგნით გეგმით იყო 2000.0 ლარი, ფაქტიურად ხარჯმა შეადგინა 552.0 ლარი.

შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობრივი სარგო გეგმით იყო 141 551.0 ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 141 331.4 ლარი.

სოციალური დახმარება გეგმით იყო 8000. 0 ლარი, ფაქტიურად ხარჯმა შეადგინა 7926.48 ლარი.

ოფისის ხარჯი გეგმით იყო 65900.07 ლარი, ფაქტიურად ხარჯმა შეადგინა 64274.08 ლარი.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება სუბსიდიის ნაწილში გეგმით იყო 149113.93 ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 144199.73 ლარი.

საწვავი გეგმით იყო 9200.0, ფაქტიურად ხარჯმა შეადგინა 8423.75 ლარი.

ტრანსპორტის მომსახურების ხარჯი გეგმით იყო 490.0, ფაქტმა შეადგინა 484.0 ლარი.

რბილი ინვენტარი და უნიფორმა გეგმით იყო 10590.0, ფაქტმა შეადგინა 10590.0 ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდა გეგმით იყო 40580.0 ლარი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 40579.94 ლარი.

2025 წლის 12 თვეში საკუთარი შემოსავლების გეგმა შეადგენდა 45241.0 ლარს, ფაქტიურად ხარჯმა შეადგინა 34977.43 ლარი.

შრომის ანაზღაურება საკუთარი შემოსავლებიდან გეგმით იყო 12870.0 ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 8565.48 ლარი.

საქონელი და მომსახურება გეგმით იყო 23270.0 ლარი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 18157.0 ლარი.

სოციალურად დაუცველის დახმარების ხარჯი გეგმა 601.0 ლარი, ფაქტი 596.95 ლარი.

არაფინანსური აქტივის ზრდა გეგმით იყო 8500 ლარი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 7658. 0 ლარი.

ნაშთი საკუთარი შემოსავლებიდან 2026 წლის 1 იანვრისათვის შეადგენს 3440 ლარს.

დირექტორი: ნ. ეჯიბია

მთ. ბუღალტერი: მ. ბაღათურია

დანართი #1

**ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრში 2025 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით დაგეგმილი და განხორციელებული კულტურული ღონისძიებები**

| *N* | ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ა | ჩატარების თარიღი | ჩატარების ადგილი | დახარჯული თანხა დეტალურად და ხელშეკრულების # | დახარ ჯული თანხა | პასუხისმ გებელი პირი | შენი შვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მუნიციპალიტეტში გამართულ საახალწლო ღონისძიებაზე თანამონაწილეობა | 31 დეკემბერი - 1 იანვარი | სენაკის მუნიციპალ იტეტი | #194 - სცენის აგება | 2700 ლარი | ცენტრის ადმინის ტრაცია | |
| 2 | მუნიციპალიტეტში გამართულ საშობაო ალილოზე მონაწილეობა | 7 იანვარი | სენაკის მუნიციპალ იტეტი | 0 | 0 | გურანდა შამათავა | |
| 3 | საქართველოს სახელმწიფო დროშისა და ქართული თეატრის დღე - შეხვედრა სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობებთან | 14 იანვარი | სენაკის მუნიციპალ იტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალ იტეტის მოსწავლე-ახალგაზრდ ობის სახლი | 0 | 0 | ცენტრის ადმინის ტრაცია | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | ახალგაზრდული თეატრი ,,ფიროსმანი" წარმოგიდგენთ საბავშვო სპექტაკლს ,,მოგზაურობა საზღაპრეთში" | 21 იანვარი | სენაკის მუნიციპალიტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი | 0 | 0 | ვეფხვია გორგოძე | |
| 5 | თოჯინების თეატრის საბავშვო სპექტაკლი ,,მგელმა მგლობა მოიშალა" | 23 იანვარი | სენაკის მუნიციპალიტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი | 0 | 0 | ინეზა ღვინჯილია | |
| 6 | წმინდა ალექსი სენაკელის აღსრულებიდან 102-ე წლისთავთან დაკავშირებით, ლიტერატურულ-მხატვრული საღამო | 30 იანვარი | სენაკის მუნიციპალიტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი | 0 | 0 | ლია ღვამბერია | |
| 7 | წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება | 5 თებერვალი | სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო ბიბლიოთეკა | 0 | 0 | ლუიზა კემულარია | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე - ახალგაზრდული თეატრი ,,ფიროსმანის" მონაწილეობით ლიტერატურული კომპოზიცია | 6 თებერვალი | სენაკის მუნიციპალიტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი | 0 | 0 | ვეფხვია გორგოძე | |
| 9 | ახალგაზრდული თეატრი ,,ფიროსმანი" - ნ.დუმბაძის ,,კუკარაჩას" პრემიერა | 13 თებერვალი | სენაკის მუნიციპალიტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი | 0 | 0 | ვეფხვია გორგოძე | |
| 10 | ანსამბლი ,,კოლხური ტრიო" ტელეკომპანია რუსთავი 2-ის მუსიკალურ შოუში ,,გული მღერის" | 25 თებერვალი | ქ. თბილისი | #19 - ტრანსპორტირება | 350 ლარი | გურანდა შამათავა | |
| 11 | დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ,,ქალი - დედა, ქალი - ლეგენდა" | 5 მარტი | სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო ბიბლიოთეკა | 0 | 0 | ლუიზა კემულარია | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | ეკოკლუბის - ,,მწვანე ერთობას" აქტივობები მუნიციპალიტეტის #2 ბაგა-ბაღის აღსაზრდელებთან | 6 მარტი | სენაკის მუნიციპალ იტეტი #2 ბაგა-ბაღი | 0 | 0 | ნინო ჭიჭაღუა | |
| 13 | სენაკის ღირსეული შვილის, ჟიული შარტავას 81-ე წლისადმი მიძღვნილი აქტივობები | 7 მარტი | სენაკის მუნიციპალ იტეტი | #20 - ყვავილები | 260 ლარი | ცენტრის ადმინის ტრაცია | |
| 14 | ახალგაზრდული თეატრი ,,ფიროსმანი" სპექტაკლით ,,ჯვარცმული ბედნიერება" | 7 მარტი | სენაკის მუნიციპალ იტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალ იტეტის მოსწავლე-ახალგაზრდ ობის სახლი | #23 - დეკორატიული ნივთები | 4500 ლარი | ვეფხვია გორგოძე | |
| 15 | ცენტრის შემოქმედებითი ანსამბლების მონაწილეობით ღონისძიება ,,გაზაფხული შემოსულა ლენ" | 8 მარტი | სენაკის მუნიციპალ იტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალ იტეტის მოსწავლე-ახალგაზრდ ობის სახლი | #23 - საღებავი - 32 ლ; #21 - ბუშტები - 187.50 ლ; #22- ხელოვნური ყვავილები - 120 ლ; #28 - ყვავილები -350 ლ; #20 - ყვავილები - 100 ლ. | 789,50 ლარი | ცენტრის ადმინის ტრაცია | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16 | ცენტრის ტურისტული კლუბი ,,მწვანე მოლაშქრეების" მიერ 2024 წელს განხორციელებული აქტივობების ანგარიში | 11 მარტი | სენაკის მუნიციპალიტეტი სახვითი ხელოვნების გალერეა | #7 სიგელებსა და მაისურებზე ბეჭდვა | 231 ლარი | ნატალია წულაია | |
| 17 | 21 მარტი - დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე - ახალგაზრდული თეატრი ,,ფიროსმანი" საბავშვო სპექტაკლით ,,მოგზაურობა საზღაპრეთში" | 21 მარტი | სენაკის მუნიციპალიტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი | #31 - სასაჩუქრე ბარათები | 350 ლარი | ვეფხვია გორგოძე | |
| 18 | ანსამბლი ,,კოლხური ტრიო" რ. ბულიას სახელობის ხელოვნების ფესტივალზე ,,ქართული ცეკვა სული ერისა" | 25 მარტი | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი | #32 - ტრანსპორტირება | 80 ლარი | გურანდა შამათავა | |
| 19 | ახალგაზრდული თეატრი ,,ფიროსმანის" მიერ სპექტაკლის ,,კუკარაჩას" განმეორებითი ჩვენება | 27 მარტი | სენაკის მუნიციპალიტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი | 0 | 0 | ვეფხვია გორგოძე | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20 | ახალგაზრდული თეატრი ,,ფიროსმანი" საერთაშორისო სატელევიზიო საქველმოქმედო ფესტივალში ,,მშვიდობა თქვენდა" | 31 მარტი | ქ. თბილისი | #33 - ტრანსპორტირება | 750 ლარი | ვეფხვია გორგოძე | |
| 21 | მხეიძეებისა და აფაქიძეების გვარის ისტორიის პრეზენტაცია | 1 აპრილი | სენაკის მუნიციპალიტეტი ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი | 0 | 0 | ბორის დავითაია | |
| 22 | ტურისტულმა კლუბმა ,,მწვანე მოლაშქრეებმა" ინტელექტუალური თამაში ,, რა, სად, როდის? '' გამართა | 4 აპრილი | სენაკის მუნიციპალიტეტი სახვითი ხელოვნების გალერეა | 0 | 0 | ნატალია წულაია | |
| 23 | 36 წელი 9 აპრილის ტრაგედიიდან... ახალგაზრდული თეატრი ,,ფიროსმანი" ლიტერატურული კომპოზიციით: ,,9 აპრილის ლექსები - ხეებზე გაკრული ლექსები..." | 9 აპრილი | სენაკის მუნიციპალიტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი | #41 - მაისურზე ბეჭდვა - 26 ლარი; #39 - სავარძლის სანომრ.ნიშნ - 60 ლ; #38 - ყვავილები - 100 ლ | 186 ლარი | ვეფხვია გორგოძე | |
| 24 | პედაგოგ, ლია ქობალავას მიერ მუსიკალური ლიტერატურის პრეზენტაცია | 10 აპრილი | სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო ბიბლიოთეკა | 0 | 0 | ლუიზა კემულარია | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 25 | ნამუშევრების გამოფენა | 11 აპრილი-15 მაისი | სენაკის მუნიციპალიტეტი სახვითი ხელოვნების გალერეა | 0 | 0 | ლერი კართხია | |
| 26 | დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ,,ჩვენი ენა ქართული" | 14 აპრილი | სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო ბიბლიოთეკა | 0 | 0 | ლუიზა კემულარია | |
| 27 | დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება | 14 აპრილი | სენაკის მუნიციპალიტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი | 0 | 0 | ლია ღვამბერია | |
| 28 | საბიბლიოთეკო კვირეულის გახსნა-იოსებ ნონეშვილის საიუბილეო საღამო | 23 აპრილი | სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო ბიბლიოთეკა | 0 | 0 | ლუიზა კემულარია | |
| 29 | ტურისტული კლუბის - ,,მწვანე მოლაშქრეები" - ,,კამპანია აჩუქე წიგნი" | 23 აპრილი | სენაკის მუნიციპალიტეტი სახვითი ხელოვნების გალერეის მიმდებარე ტერიტორია | 0 | 0 | ნატალია წულაია | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 30 | ეკოკლუბ ,,მწვანე ერთობის" წევრები - პრეზენტაცია თემაზე - ,,მსოფლიოს ყველაზე იშვიათი და უძველესი მცენარეები" | 24 აპრილი | სენაკის მუნიციპალიტეტი სახვითი ხელოვნების გალერეა | 0 | 0 | ცენტრის ადმინისტრაცია | |
| 31 | ცენტრის ქართული ხალხური ცეკვის მუნიციპალური ანსამბლის მონაწილეობა ქართული ხალხური ცეკვების კონკურს-ფესტივალი „ჰარიდაში“ | 28 აპრილი | ხობის მუნიციპალიტეტი | #44,49 - ტრანსპორტირება | 200 ლარი | გიორგი კორშია | |
| 32 | საბიბლიოთეკო კვირეულის დახურვა | 30 აპრილი | სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო ბიბლიოთეკა | #47- სიგელი - 33 ლ; #46 - სასაჩუქრე ვაუჩ. - 670 ლ. | 703 ლარი | ლუიზა კემულარია | |
| 33 | ანსამბლ ,,კოლხური ტრიოს" მონაწილეობა ქართველ ქალთა ტრადიციულ მუსიკის მესამე ფესტივალზე - ,,ნანინა 2025" | 7 მაისი | ქ.თბილისი | #48 - ტრანსპორტირება | 350 ლარი | გურანდა შამათავა | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 34 | 9 მაისი - მუნიციპალიტეტში დაგეგმილ აქტივობაში მონაწილეობა | 9 მაისი | სენაკის მუნიციპალ იტეტი | 0 | 0 | ცენტრის ადმინის ტრაცია | |
| 35 | ცენტრის ქართული ხალხური ცეკვის მუნიციპალური ანსამბლის მონაწილეობა ფოლკლორულ ფესტივალზე „ჭყონდიდი“ | 11 მაისი | მარტვილის მუნიციპალ იტეტი | #51 - ტრანსპორტირებ ა | 200 ლარი | გიორგი კორშია | |
| 36 | მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული - ცნობილი უცხოელი მხატვრების რეპროდუქციის გამოფენა - ,,თავსაბურავები მსოფლიო მხატვრობაში“, ეროვნული ქუდების გამოფენა | 18 მაისი | სენაკის მუნიციპალ იტეტი ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცო დნეობის მუზეუმები | #53 - სასაჩუქრე ვაუჩერი - 330 ლ; #54 - სიგელები - 36 | 366 ლარი | მარინე აბრამია დამირი კუჭავა | |
| 37 | მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში ღია გაკვეთილი - ,,დიადია ჩვენი წარსული” | 18 მაისი | სენაკის მუნიციპალ იტეტი ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცო დნეობის მუზეუმი | 0 | 0 | დამირი კუჭავა | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 38 | ცენტრის ქართული ხალხური ცეკვის მუნიციპალური ანსამბლის მონაწილეობა გიორგი ტყვაცირიას სახელობის ფესტივალზე „არ დავიწყება მოყმისა“ | 18 მაისი | ქ. წყალტუბო | #52 - ტრანსპორტირება | 300 ლარი | გიორგი კორშია | |
| 39 | მუზეუმების საერთაშორისო და ეროვნული სამოსის დღეები | 21 მაისი | სენაკის მუნიციპალიტეტი ნოქალაქევის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალი | #56 - სასმისები და კვება - 435.30 ლ; #58 - სცენის ტრანსპ - 300 ლ; #61 - სურათების დაბეჭდვა - 552 ლ; **#60 - დეკორატიული ნივთი - 720 (საკუთარი შემოს.)**; #62 - ტბილეულობა- 1225.50ლ; #59 - ტრანსპორტირება - 480 ლ; #57 - სცენის აგება - 2700 ლ; #64 - თივა - 450 ლ; #63 - ალაფურშეტი - 1750 ლ; #55 - ჯგუფი 1/4 - 9090 ლ; #65 - აპარატურის ქირაობა - 1600 ლ. | 19302.80 ლარი | გურანდა შამათავა | |
| 40 | ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის, მერაბ კოსტავას ხსოვნის საღამო | 23 მაისი | სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო ბიბლიოთეკა | #67 - სურათები | 18 ლარი | ლუიზა კემულარია | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 41 | ცენტრის ტურისტული კლუბი ,,მწვანე მოლაშქრეების" ვიზიტი საქართველოს ულამაზეს მხარეში, იმერეთში | 24 მაისი | ქ. ჭიათურა და საჩხერე | #66 - ტრანსპორტირება **(საკუთარი შემოსავლებიდან)** | 400 ლარი | ნატალია წულაია | |
| 42 | ცენტრის შემოქმედებითი ანსამბლების მონაწილეობა დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავ ღონიძიებაზე | 26 მაისი | სენაკის მუნიციპალიტეტი | #68 - სცენის აგება | 2700 ლარი | გურანდა შამათავა | |
| 43 | ცენტრის მუნიციპალური ქორეოგრაფიული ანსამბლის მონაწილეობა კონკურს-ფესტივალზე | 31 მაისი | ცაგერის მუნიციპალიტეტი | #69- ტრანსპორტირება **(საკუთარი შემოსავლებიდან)** | 1000 ლარი | გიორგი კორშია | |
| 44 | ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით ცენტრის თანამონაწილეობა საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ დაგეგმილ ღონისძიებაში | 1 ივნისი | სენაკის მუნიციპალიტეტი | #70 - სცენის აგება | 2700 ლარი | ცენტრის ადმინისტრაცია | |
| 45 | ახალგაზრდული თეატრი ,,ფიროსმანის" სპექტაკლი ,,რწყილი და ჭიანჭველა" | 1 ივნისი | სენაკის მუნიციპალიტეტი | 0 | 0 | ვეფხვია გორგოძე | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 46 | ცენტრის მუნიციპალური ქორეოგრაფიული ანსამბლის მონაწილეობა ქართული ხალხური ცეკვის X ფესტივალ-კონკურსში "კუჩხიბედინერი-2025" | 7 ივნისი | სენაკის მუნიციპალ იტეტი | 0 | 0 | გიორგი კორშია | |
| 47 | სპექტაკლი ,,სხივი სარკმლიდან გადმოშვებული" | 9 ივნისი | სენაკის მუნიციპალ იტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალ იტეტის მოსწავლე-ახალგაზრდ ობის სახლი | 0 | 0 | ვეფხვია გორგოძე | |
| 48 | სენაკის სახვითი ხელოვნების გალერეის დაარსების 45 წლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი საღამო | 13 ივნისი | სენაკის მუნიციპალ იტეტი სახვითი ხელოვნებები ს გალერეა | #74 - სასაჩუქრე ვაუჩერი - 150 ლ; #81 - სასაჩუქრე ვაუჩერი - 50 ლ; #77 - სასმისები ... - 308.90 ლ; #78 - აფიშა - 25 ლ; #75 - ალაფურშეტი - 785 ლ; #76 - ტბილეულობა - 604 ლ; #79 - ვარდები - 175 ლ; #73 - მევიოლინე - 700 ლ; | 2797.90 ლარი | ლერი კართხია | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 49 | ცენტრის მუნიციპალური ქორეოგრაფიული ანსამბლის მონაწილეობა საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე ,,ჰარირა" | 25 ივნისი | ქობულეთი | #83 - ტრანსპორტირებ ა | 300 ლარი | გიორგი კორშია | |
| 50 | ცენტრის ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,კოლხის" წლის შემაჯამებელი გაკვეთილი | 29 ივნისი | სენაკის მუნიციპალ იტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალ იტეტის მოსწავლე-ახალგაზრდ ობის სახლი | #84 - სტიკერები | 24 ლარი | გიორგი კორშია | |
| 51 | ტურისტული კლუბის - ,,მწვანე მოლაშქრეების" - წევრებზე სიგელების გადაცემა | 30 ივნისი | სენაკის მუნიციპალ იტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალ იტეტის მოსწავლე-ახალგაზრდ ობის სახლი | #84 - სიგელები | 54 ლარი | ნატალია წულაია | |
| 52 | ახალგაზრდული თეატრი ,,ფიროსმანი" საქველმოქმედო სპექტაკლით ,,რწყილი და ჭიანჭველა | 4 ივლისი | სენაკის მუნიციპალ იტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალ იტეტის მოსწავლე-ახალგაზრდ ობის სახლი | 0 | 0 | ვეფხვია გორგოძე | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 53 | სენაკელი მხატვრის, მალხაზ კორთხონჯიას პერსონალური გამოფენა | 24 ივლისი | სენაკის მუნიციპალ იტეტი სახვითი ხელოვნები ს გალერეა | 0 | 0 | ლერი კართხია | |
| 54 | საჯარო, საბავშვო და ადმინისტრაციული ერთეულების ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი გაიზარდა. | 25 ივლისი | სენაკის მუნიციპალ იტეტი საჯარო, საბავშვო და ადმინისტრ აციული ერთეულები ს ბიბლიოთეკ ები | 0 | 0 | ლუიზა კემულარ ია | |
| 55 | მუნიციპალური ქორეოგრაფიული ანსამბლის სოლო კონცერტი | 29 ივლისი | სენაკის მუნიციპალ იტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალ იტეტის მოსწავლე-ახალგაზრდ ობის სახლი | #100-ბანერი - 1497ლ; #102-სასმელები - 174,20 ლ; #103-მოსაწვევი -75 ლ; #105-მომღერლები - 4500 ლ; #106-მზა კვება - 649 ლ; #107-ტკბილეული - 200 ლ. | 7095.20 ლ | გიორგი კორშია | |
| 56 | 17 წელი აგვისტოს ომიდან... | 8 აგვისტო | სენაკის მუნიციპალ იტეტი | 0 | 0 | ცენტრის ადმინის ტრაცია | |
| 57 | დიმიტრი ჯაიანის დაბადების 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო | 20 აგვისტო | სენაკის მუნიციპალ იტეტი სახვითი ხელოვნები ს გალერეა | 0 | 0 | ცენტრის ადმინის ტრაცია | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 58 | მუნიციპალური ქორეოგრაფიული ანსამბლის მონაწილეობა არხავის 51-ე საერთაშორისო კულტურისა და ხელოვნების ფესტივალში | 19-24 აგვისტო | თურქეთი ქ. არხავა | #109 - ტრანსპორტირება - 300 ლ; #110 - ტრანსპორტირება-300 ლ. | 600 ლ. | გიორგი კორშია | |
| 59 | ტურისტული კლუბის ,,მწვანე მოლაშქრეების"აქტივობა ,,კინომატოგრაფიის როლი ტურიზმის განვითარებაში" | 10 სექტემბერი | დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი | 0 | 0 | ნატალია წულაია | |
| 60 | ახალი სასწავლო წლის ღონისძიება | 15 სექტემბერი | დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიმდებარე ტერიტორია | #114 - მოსართავი წვიმა- 105 ლ; #115 - დეკორატ. ნივთები - 295 ლ; #116- ზღაპრის გმირები, წამყვანი, შოუ - 1600 ლ | 2000 ლ. | გურანდა შამათავა | |
| 61 | ტურისტული კლუბის თანამონაწილეობა ,,ქალაქის დღის" აღნიშვნაში | 16 სექტემბერი | სენაკის მუნიციპალიტეტი ქალაქის ცენტრალური სკვერი | 0 | 0 | ნატალია წულაია | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 62 | ცენტრის ახალგაზრდული თეატრი ,,ფიროსმანი" სპექტაკლით ,,ჯვარცმული ბედნიერება" საერთაშორისო ფესტივალზე ,,ზღვის მარგალიტები 2025" | 20 სექტემბერი | ქ. ფოთი ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრი | 0 | 0 | ვეფხვია გორგოძე | |
| 63 | ცენტრის საბავშვო თეატრალური სტუდიის აღსაზრდელების მონაწილეობა საერთაშორისო ფესტივალზე ,,მე მიყვარს თბილისი" თეატრალური იმპროვიზაციით ,,თბილისის სურათები" | 21 სექტემბერი | ქ.თბილისი მთაწმინდის პარკის სცენა | #120-ტრანსპორტირება | 600 ლ. | ვეფხვია გორგოძე | |
| 64 | სენაკში სოხუმის დაცემიდან 32-ე წელი აღინიშნა... ცენტრის ახალგაზრდული თეატრი ,,ფიროსმანი" სპექტაკლით ,,ჯვარცმული ბედნიერება" | 27 სექტემბერი | სენაკის მუნიციპალიტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი | #121 - ყვავილები | 165 ლ. | ცენტრის ადმინისტრაცია ვეფხვია გორგოძე | |
| 65 | ცენტრის ტურისტული კლუბის ,,მწვანე მოლაშქრეების" წევრებმა ტურიზმის დღე აღნიშნეს | 27 სექტემბერი | სენაკის მუნიციპალიტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი | #112 - ბუკლეტები | 100 ლ. | ნატალია წულაია | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 66 | ახალგაზრდული თეატრი ,,ფიროსმანი" - სპექტაკლი ,,ხანუმას" პრემიერა | 21 ოქტომბერი | სენაკის მუნიციპალიტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი | #122 - ნახატი ,,ხანუმა" | 1800 ლ. | ვეფხვია გორგოძე | |
| 67 | ახალგაზრდული თეატრი ,,ფიროსმანი" - სპექტაკლი ,,ხანუმას" განმეორებითი ჩვენება | 23 ოქტომბერი | სენაკის მუნიციპალიტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი | 0 | 0 | ვეფხვია გორგოძე | |
| 68 | ღია გაკვეთილი თემაზე: ,,კოლხური საკრავები" | 28 ოქტომბერი | სენაკის მუნიციპალიტეტი ქიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი | 0 | 0 | დამირი კუჭავა | |
| 69 | პოეზიის საღამო ,,ჩემი საყვარელი ლექსი" | 29 ოქტომბერი | სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო ბიბლიოთეკა | #130 - 20 ც. სიგელი | 60 ლ. | ლუიზა კემულარია | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 70 | სახალხო დღესასწაული - ,,ეგრისობა-2025" | 14 ნოემბერი | სენაკის მუნიციპალიტეტი ნოქალაქევის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალი | #123 - ნახატი - 675 ლ.<br>#124 - მსახიობის მომსახ -240 ლ.<br>#146 - მოსაწვ.ბარათი - 200 ლ.<br>#138 სასმ - 332,25 ლ.<br>#145 - ქსოვილი.. - 3300 ლ.<br>#135 - ხელოვნური ყვავილი - 500 ლ.<br>#140 - ხილი - 710 ლ.<br>#142-ტორტი-450 ლ.<br>#143-კვება- 2200 ლ.<br>#136 - ტრანსპორტი - 400 ლ;<br>#137 სატვირთო - 300 ლ;<br>#134-ხის ჩარჩოს დეკორაცია -1110 ლ<br>**(მცირეფასიანიდან)** | 10417,25 ლ | გურანდა შამათავა | |
| 71 | ტურისტული კლუბი ,, მწვანე მოლაშქრეები"სარეკლამო ტურის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტში | 19 ნოემბერი | გორის მუნიციპალიტეტი | #149 - ტრანსპორტირება | 600 ლ. | ნატალია წულაია | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 72 | იაკობ გოგებაშვილის 185-ე საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული კომპოზიცია ,,იავნანამ რა ჰქმნა?“ | 27 ნოემბერი | სენაკის მუნიციპალიტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი | 0 | 0 | ლია ღვამბერია | |
| 73 | ლოტბარ ლეონტი ჩიხლაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო | 28 ნოემბერი | სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო ბიბლიოთეკა | 0 | 0 | ლუიზა კემულარია | |
| 74 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრმა, დღის ცენტრ ,,ლაზარე-2015“-ის აღსაზრდელებს უმასპინძლა | 3 დეკემბერი | სენაკის მუნიციპალიტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი | 0 | 0 | გურანდა შამათავა | |
| 75 | ცენტრის თანამონაწილეობა ფოთის მუნიციპალიტეტში დაგეგმილ ღონისძიებაზე | 7 დეკემბერი | ფოთის მუნიციპალიტეტი | #174 - სცენის აგება - 1200 ლ. #175 - ტრანსპორტირება - 500 ლ. | 1700 ლ. | ცენტრის ადმინისტრაცია | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 76 | მხატვარ ნონა ჭანტურიას პერსონალური გამოფენის გახსნა | 8 დეკემბერი | სენაკის მუნიციპალიტეტი სახვითი ხელოვნების გალერეა | 0 | 0 | ლერი კართხია | |
| 77 | თოჯინების თეატრი სპექტაკლებით - ,,წითელქუდა" და ,,მგელმა მგლობა მოიშალა" | 8 დეკემბერი | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ჩხორიას სამოყვარულო თეატრს | #171 - ტრანსპორტირება **(საკუთარი შემოსავლებიდან)** | 250 ლ. | ინეზა ღვინჯილია | |
| 78 | ტურისტული კლუბი ,,მწვანე მოლაშქრეები"გას ტრონომიული შიდა ტურის ფარგლებში, თენგიზ შომახიას საოჯახო ,,ჯარგვალში" | 10 დეკემბერი | სენაკის მუნიციპალიტეტი | #173 - კვება | 200 ლ. | ნატო წულაია | |
| 79 | ცენტრის საბავშვო თეატრალური სტუდია - სატელევიზიო სპექტაკლი ,,განდეგილი" | 15 დეკემბერი | სენაკის მუნიციპალიტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი | 0 | 0 | ვეფხვია გორგოძე | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 80 | ცენტრის ახალგაზრდული თეატრი ,,ფიროსმანი" - სპექტაკლი ,,ერთად დავლიოთ ყავა" | 15 დეკემბერი | სენაკის მუნიციპალიტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი | 0 | 0 | ვეფხვია გორგოძე | |
| 81 | ცენტრის საესტრადო სიმღერების სწავლების სექცია-საახალწლო ღონისძიება ,,ერთხელ ახალ წელს" | 24 დეკემბერი | სენაკის მუნიციპალიტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი | 0 | 0 | სალომე ბერიშვილი | |
| 82 | ცენტრის საბავშვო თეატრალური სტუდია-სპექტაკლი ,,ჩხიკვთა ქორწილის" პრემიერა | 25 დეკემბერი | სენაკის მუნიციპალიტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი | 0 | 0 | ვეფხვია გორგოძე | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 83 | ცენტრის ტურისტული კლუბის ,,მწვანე მოლაშქრეების" წევრებმა, საახალწლო კვირეულის ფარგლებში, საკუთარი ნამუშევრების გამოფენა მოაწყვეს | 28 დეკემბერი | სენაკის მუნიციპალ იტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალ იტეტის მოსწავლე-ახალგაზრდ ობის სახლი | 0 | 0 | ნატალია წულაია | |
| 84 | საახალწლო ღონისძიება | 29 დეკემბერი | სენაკის მუნიციპალ იტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალ იტეტის მოსწავლე-ახალგაზრდ ობის სახლი | #133 - ნაძვის ხის ნათურები - 2300 ლ. **(მცირეფას)** #153 - პიროტექნიკა, ბუშტები - 256 ლ. #154 - განათებული ტოტები - 800 ლ. #157 - საშობაო ნათურები - 6450 ლ #156 - საშობაო ნათურები - 1687 ლ #162- ახალი წლისთვის... - 500 ლ. #158 - ნაძვის ხის ბურთები,ლოლო ები - 1310 ლ. #159 - ლითონის კონსტრუქცია - 900 ლ. #160 - ქსოვილი - 750 ლ. #186 - ფონოგრამა - 600 ლ. #187 - დეკორატ. ნივთები - 500 ლ | 16053 ლ. | გურანდა შამათავა | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 85 | ცენტრის საესტრადო სიმღერების სწავლების სექციის მოსწავლეთა თანამონაწილეობა მუნიციპალიტეტში დაგეგმილ საახალწლო ღონისძიებაზე | 30 დეკემბერი | სენაკის მუნიციპალიტეტი | 0 | 0 | სალომე ბერიშვილი | |
| | | | | ***სულ თანხა*** | ***83252.65 ლარი*** | | |

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და

კულტურის ცენტრის დირექტორი: / ნ. ეჯიბია /